იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ.
საზღვარგარეთ: წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 12
წელიწადი პირველი
1912
ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ძიძავის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა 1912 წ. 26 სექტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

იმერეთი

✖ (წელიწადი პირველი) ✖

გაზეთის ფასი:

ერთი წლით .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . .	4 მანეთი.
ერთი თვით . . .	4 აბაზი.
ცალკე ნუმერი . . .	შაური.

1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებსა და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთ ნახევრათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზათ, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად.

ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „Имерети“ **Антону Михаиловичу Хеладзе.** სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

პაიებზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვის და ზ. ბ. ობანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აურაცხელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

დ ი დ ი ს ა რ ჩ ე ვ ი:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისთვის.

სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობი სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

რადგანაც ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები ქ. მ ო ს კ ო ვ ი ს ა, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ.

მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნარდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

გაზეთი „იმერეთი“ იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

პირდაპირ **ნახევარ ფასათ** იყიდება!.

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის.

გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთაისში, ბულვარის პირდაპირ ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: ქაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები. **5 მან.** დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი **პალტოები** ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და ნარუბაშკები ნაქრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წვივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წვივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა. **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას,** რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველდღე.

ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ. პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისთვის იწვევს ორ მასწავლებელს, რომელთაგან თითოეულს მიეცემა

ჯამაგირათ წელიწადში 1,008 მან.

მსურველებმა თხოვნით უნდა მიმართონ ქ. ქუთაისში შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს 25 ოქტომბრამდი. საჭირო საბუთები ახლავე უნდა წარმოდგენილ იქნას და ან აღინიშნოს—სად ინახება ეს საბუთები.

ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა

ქვედა სართული, რომელშიც 7 ოთახია, კაზაკოვის ქუჩაზე, გრ. ბველესიანის საკუთარ სახლში.

პარიზის ჭრა-კერვის კურსები

ს. ა. ალიბეგოვისა

დილა-საღამოს საათის მაცადინობით ექვსი თვის განმავლობაში ათავებენ პ. ჭ.-კ. მთელ კურსს. კურსდამთავრებულთ ეძლევათ მოწმობა. მისამართი: ქუთაისი, ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლი, ნახვა შეიძლება: 10—7 საათამდი.

ВОЗОБНОВЛЯЮ

УРОКИ

на СКРИПКѢ, МАНДАЛИНѢ

и по элементарной теоріи

МУЗЫКИ по доступнымъ цѣнамъ.

АДРЕСЪ: Александр. ул., спросить въ магазинѣ Джанелидзе, противъ Семейнаго Сада.

განვაახლე

ს კრიპკის ა, მ ანდალინის ა,

და აგრეთვე

მუსიკის ელემენტალური თეორიის

გაკვეთილები.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

მისამართი: ალექსანდრეს ქ., იკითხეთ ჯანელიძის მაღაზიაში, საოჯახო ბაღის პირდაპირ.

მოდნო მანუფაქტურის მაღაზია

ზ. ს. ბუტულოვისა

მ ი ვ ი ღ ე თ

რუსეთისა და საზღვარგარ. ქარხნების საუკეთესო ახალ-მოდის საქონელი

დიდძალი არჩევა **შალეულობის, მაუდების, აბრეშუმებისა და თეთრეულის. სუფრის და ხელსახოცის** საუკეთესო ნაწარმოები.

მოწაფეების და ყველა დარგის მოხელეების ფორმის მატერიები.

✖✖ ყველა საქონელზე ფასი რიგიანი და შეუვაჭრებლათ. ✖✖

გიმნაზიის ქუჩა, ბაღის პირდაპირ. ტელეფონი № 28.

მ ი ა ქ ც ი ე თ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

მიაქციეთ ყურადღება!

✖ გ. დ. კაჭკაჭოვის ✖

ახლათ გაღებული ფართლეულობის

მ ა ღ ა ზ ი ა

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველდღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს“ შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ✖✖✖ ფასათ და უვაჭროთ. ✖✖✖

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

მიაქციეთ ყურადღება!

გ ა ი ხ ს ნ ა

ახალი

სავაჭრო სახლი

სრულიად ახალი საქონლით

ივანე მარკოზის-ძის კაკაბაძისა

ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, ძმათა გოკიელის სავაჭროს გვერდ.

სავაჭრო სახლში მოიპოება ახლათ მიღებული: ყოველგვარი საბაკალეინო და საგასტრონომიო საქონელი. საზღვარგარეთის და რუსეთის ყოველნაირი მაგარი სასმელი, სამკურნალო და სუფრის ღვინო.

და აგრეთვე ყველა ცნობილი ფირმის საკონდიტერო ცხვილეულობა და კონსერვები.

ფასები ზომიერი, ყოველი კონკურენციის გარეშე და შეუვაჭრებლათ.

ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსახურავები ® სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმისაცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

აქიმი ბ. ა. მირაქოვი ღებულობს შინაგან, ყელის, ცხვირის, და ყურის სნეულობით ავათმყოფს. დილის 8—12 ს. და საღამოს 5—8 ს. ლევაშოვის ქ. საკუთარი სახლი № 19. შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

აქიმი ი. ტოგონიძე. იღებს შინაგან, ქალის სნეულებითა და საბებიო ავათმყოფთ.

ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, ჩელინგაროვის სახლი.

აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა, სახლი ნიჟარაძისა.

ბებია ქალი ე. ი. ბუდაგოვსკისა, ვკურნავ კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით. ივანოვის ქუჩა, სახლი ბაჯიოღლისა № 20.

აქიმი ბ. დ. ნასარიძე ® მისი და **ე. დ. ნასარიძის ასული** გადავიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

აქიმი ი. ჩარექოვი

დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით **კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყოფებს.** დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

აქიმი ვ. ს. ფეშინი ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა [ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატეტერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს. გოშპიტ ქ.

ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთეაქის პირდაპირ.

დ ღ ი უ რ ი.

სოხუმის ოლქში სხვილ მემამულეთაგან ამრჩევლათ გაიყვანეს **ა. შარვაშიძე** და **მ. ემუხვარი.**

— **თელავში** ამრჩევლათ **კ. ჩხეიძის** მომხრე **ვახვახიშვილი** გასულა.

— **ჩერნოგორიელებმა** პლავა აიღეს და 280 ოსმალო ტყვეთ დაირჩინეს.

— **ძველ-სერბიაში** ბაში-ბუზუკები ქრისტიანე მცხოვრებლებს არბევენ.

— **სტამბოლში ბულგარეთის** კონსულის აგენტი დაიჭირეს.

— **ბულგარეთის** სამხედრო უწყებამ ავსტრიას რვა ჰაეროპლანი შეუკვეთა.

— **კიევში** გამართულ ანტიავსტრიული მანიფესტაციის გამო **ავსტრიის** ელჩს გარეშე საქმეთა სამინისტროში საჩივარი შეაქვს.

— **იტალიის** თანაგრძნობა **ბალკანეთის** სახელმწიფოებისკენაა.

— **ბერტჰოლდსა** და **რუსეთის** ელჩს **გირსს ბალკანეთის** საქმეთა შესახებ განუწყვეტელი მოლაპარაკება აქვთ.

— **ომში** დაჭრილი ქრისტიანების სასარგებლოთ **ინგლისში** ფულს აგროვებენ.

— **სტამბოლში რუსეთის** ელჩმა მოწერილობა მიიღო: **ჩერნოგორიის** ქვეშევრდომნი ჩვენი ხარჯით სამშობლოში გაგზავნეთო.

— ავსტრიის აფიცრები ავსტრიაში სამსახურს თავს ანებებენ და ოსმალეთს მოდიან, რომ აქ ჯარში ჩაეწერონ.

— ალბანელების ერთი რაზმი სერბიელებმა დაამარცხეს. ორასი ალბანელია მოკლული.

— რუსეთში დღემდი 3287 ამრჩეველია არჩეული: აქედან 249 მემარცხენე, 276 კადეტი, 382 პროგრესისტი, 258 ოკტომბრისტი, 287 ნაციონალისტი, 1559 მემარჯვენე და 275 უპარტიო.

— ლოძში საარჩევნო სიიდან ორი ათასი პოლონელი გამორიცხეს.

— პროფესორმა ბოლუბინინმა მოსკოვის უნივერსიტეტს 150,000 მანეთი დაუტოვა.

ქართული პრესა.

„სახალხო გაზეთის'' უკანასკნელ ნუმერში ვრცელი დასაბუთებული წერილია არჩ. ჯორჯაძისა ორი გაზეთის — „ზაკ. რეჩისა" და „თემის" ორჭოფულ მდგომარეობის თაობაზე მიმდინარე არჩევანში. ბ-ნი ჯორჯაძე აღნიშნავს იმას, თუ „ზაკ. რეჩ'', როგორ სტამბავდა მარტო ცალმხრივ ცნობებს, თითქო ბრძოლა იმერეთში მარტო მიქელაძისა და ესდეკებს შორის ყოფილიყო, არ ახსენებდა ქ. აბაშიძის მომხრეთ და თუ იტყოდა რასმე, მხოლოდ იმას, რომ ისინი სამარცხვინოთ დამარცხდენო. ამ სახით ,,ზ. რ"-ი ხელს უწყობდა იმათ, ვინც ქართულ ეროვნულ საქმეს ძირს უთხრიდენო და სხვ... ამ გვარსავე გზას იმ თავითვე ადგია გაზ. ,,თემიც''-ო, სწერს არჩ. ჯორჯაძე და განაგრძობს:

> „ვგონებ არ დამჭირდება იმისი დამტკიცება, რომ ,,თემის'' სიმპატია ცენტრალისტ-დემოკრატებისაკენ იყო მიმართული. ვგონებ არც იმის დამტკიცება დამჭირდება, რომ მათს მოწინააღმდეგებს, რომელთაც თითქოს მეტი კავშირი უნდა ქონოდა, სახელს და საქმეს უფუჭებდა. არც ერთი სიტყვა არა სთქვა კიტა აბაშიძის კანდიდატურის სასარგებლოთ, როდესაც კარგათ იცოდა, რომ ამ კანდიდატურის გამარჯვება ნიშნავდა ეროვნული პრინციპის გამარჯვებას. თფილისის არჩევნებში ხომ სრულიად შეუწყნარებელი გაუგებრობა და სიბეცე გამოიჩინა...
>
> სომეხ-ქართველთა ურთიერთობა დიდი ხანია არა სასურველ მიმართულებას იღებს. მაგრამ როგორც უნდა იყოს საქმე, გადაჭრით უნდა ვთქვათ შემდეგი. საქართველოში მცხოვრებ სომხებს სრული უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ნაციონალური ინტერესები და იზრუნონ თავის ერის კეთილდღეობისათვის. აქ ვერავინ წამოგედავებათ. მაგრამ როდესაც მოურიდებლათ გვიცხადებენ, რომ უარყოფთ საქართველოს ეროვნულ იდეალს, ვებრძვით მას: რადგან ამ პრინციპის განხორციელება სომხის ბურჟუაზიისთვის არასასურველი და მავნებელი იქნებაო, გვაქვს უფლება ხმა ამოვიღოთ და ვთქვათ: ერთა ურთიერთობაში არის ერთგვარი ზნეობრივი საზღვარი, რომელსაც დაუზარებლათ და დაუსჯელათ ვერვინ გადაბიჯებს!.
>
> ,,დაშნაკელები'', რომელნიც ამ რამდენიმე წლის წინათ სულ სხვანაირ დროშის ქვეშ მოქმედობდენ და რომელთაც ესდეკებთან ულმობელი შეჯახება ქონდათ ხოლმე ყველგან, სადაც კი შეიყრებოდენ, ახლა, ქართულ ეროვნულ საქმის ზრდა რომ იგრძნეს, ხელი აიღეს პრინციპებზე და გულზე მიიკრეს ,,წმინდა წყლის'' დემოკრატები. ამ დემოკრატებსაც მეტი არაფერი უნდოდათ. გადაეხვიენ თავიანთ ძველ მტრებს, ნაციონალისტებს და საერთო იერიშით მივიდენ ქართული ეროვნული საქმისა და ეროვნული კულტურის წინააღმდეგ. ვამბობ ეროვნულ კულტურის წინააღმდეგ, რადგან თვითმართველობის პრინციპის დათრგუნვით დაითრგუნება ეს კულტურა, იგი ვერ იხარებს და ვერ აყვავდება. და ყველა ამის მოწმე, გაზეთი ,,თემი'' ,,სახალხოელების'' შოვინიზმზე და ესდეკების დევ-გმირობაზე და ლაპარაკობს. ეს არის ცნობიერი განმარტება ცხოვრებისა? ეს არის პირუთვნელობა, პირდაპირობა და გულწრფელობა? არა მჯერა, არა და არა''.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობას განუზრახავს ილ. ჭავჭავაძის დაბადებიდან 75 წლის თავი იდღესასწაულოს. რომ სადღესასწაულო პროგრამა საგულისხმო იქნეს და მას ღირსეული და შესაფერი დღესასწაულის ხასიათი ექნეს, გამგეობა ხსენებული საზოგადოებისა რამდენსამე წინასწარ კრებას მოახდენს, მოიწვევს სხვადასხვა კულტურული დაწესებულების წარმომადგენელთ, რომ ამათთან ერთად შეიმუშაოს ეს დღესასწაულის პროგრამა.

✦ ნეტარხსენებულ ბოცირიძის დამწვარ ავტომობილების შემდეგ, ქუთაისს კიდევ ეღირსა ერთი ავტომობილი: პატარა კოხტა ავტომობილი, რომელიც ბ. საარეკს ჩამოუტანია და ამუშავებს ქუთაისსა და ქუთაისის გარეთაც.

✦ „შინაური საქმეები" გადმოგვცემს: სამღვდელოების წრევანდელი დამატებითი ჯამაგირებიდან საქართველოს საეგზარხოსოსთვის შარშან ოლქიანათ 10000 მანეთი ურგიათ. ამ ფულს ჩვეულებრივათ სამღვდელოების კრება გაანაწილებს. თუ რამე გადარჩა განაწილებას, ისევ ხაზინაში უნდა დაბრუნდეს. ამავე თანხიდან 12 გადმოსახლებულ რუსთა სამღვდელოებას უნდა გაუხადონ ჯამაგირი ღვდელს 900 მანეთი და მედავითნეს 300 მანეთამდი.

✦ გუშინწინ 8 ოქტომბერს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია სამი ბრალდებულის, ცუცუნია ლოლობერიძის ასულის, აპოლონ ანდღულაძის და სიმონ ქეკელეიშვილის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ: პირველს თავისი ქმრის და მეორეს და მესამეს ცუცუნიასთან ინტიმური დამოკიდებულების გამო, გიორგი ერმილეს ძის ლოლობერიძის მოკვლა. ქეკელეიშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი ბელოზეროვი, ანდღულაძეს—ზობეჩია და ცუცუნიამ თვითონ დაიცვა თავისი თავი. სასამართლომ ანდღულაძეს 6 წლის კატორღა გადაუწყვიტა, ცუცუნია და ქეკელეიშვილი კი გაამართლა.

✦ სოფელ წაღვერში წვრილი კრედიტის ინსპექტორს დ. შ. ჩხეიძეს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა მოუწყვია. ამხანაგობას ძირითად თანხათ ასი ათასი თუმანი უკვე მიუღია. აუღია აგრეთვე მეორე ასი თუმანი მოკლე ვადიან სესხათ.

✦ სოფელ ნინოწმინდაში კახეთის რკინის გზის მოიჯარადრე ქუთაისის მაზრის მცხოვრები ისიდორე ჩოხხაძე მოუკლავთ; მკვლელების კვალს მიაგნეს. ისინი არიან პარმენ ზვესელაძე და ვიქტორ ჭეიშვილი.

✦ თფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევანი ქრისტეშობისთვეში მოხდება. თავად-აზნაურობის ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია ამ თანამდებობაზე ნიკ. ალ. თუმანიშვილის კანდიდატურა დაასახელონ.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ნავთლუღში ქალაქის მიწა გაყიდოს და საუნივერსიტეტო თანხას მიუმატოს. ვაჭართა მამასახლისს მილოვს 10,000 ოთხკუთხი საჟენის მიწის ყიდვის სურვილი განუცხადებია, ყიდვის მსურველი სხვაც არისო.

✦ თფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე ქიმიის პროფესორათ, ოდესის დამსახურებული პროფესორი პ. გ. მელიქიშვილი მიუწვევიათ. მელიქიშვილის თანხმობა განუცხადებია.

✦ 3—4 ოქტომბერს ქუთ. ოლქის სასამართლომ გაარჩია ეგუტიძეების, მინაძისა და სხვების საქმე. მათ ბრალდებოდათ შარშან საღორიის ტყეში ებრაელების გაცარცვა. ეგუტიძეებს გადაუწყვიტეს 8–15 წლამდი კატორღა. ვ. მინაძე გაამართლა და სხვებს სასამართლომ მიუსაჯა სხვადასხვა სასჯელი.

✦ 7 ოქტომბერს ქუთ. საგ. სატუსაღოდან ქ. ფოთსა, ოზურგეთსა და ზუგდიდში 18 ტუსაღი წაიყვანეს. იქ მალე ამათი საქმე გაირჩევა.

✦ თფილისში მცხოვრები მილოვი აცხადებს — უფაში გამოვიდა ხუთას მანეთიანები, რომელიც სახელმწიფო ბანკმა ყალბათ იცნო. ყალბ ფულს ასეთი ნუმერი აზის 1898 წლისა, სერია „А. С." № 066915, „А. П." № 075603 და „Л. П. № 075624".

✦ მგოსანი ქალი კნ. ნინო ორბელიანისა მძიმე ავათ გამხდარა, მას თურმე უსახსრობის გამო ექიმი ვერ მიუწვევია.

✦ ოზურგეთში სათეატრო შენობის აშენება დაუწყიათ და ამ ერთ თვეში დასრულდებაო.

✦ ხუთ ოქტომბერს, სოფ. ზედლევიდან (ზემო იმერეთი) ქუთაისს ჩამოიყვანეს დაჭრილი ყაჩაღი მაჭავარიანი და საგუბერნიო სატუსაღოს საავათმყოფოში მოათავსეს. როგორც ამბობენ, მასთან ერთად დაუჭერიათ შალვა ჩიკვინიძე, რომელიც შარშან ციხის ზედამხედველს გაექცა, როცა დიდი სატუსაღოდან პირველ განყოფილებაში გადაჰყავდა. ამასაც ამ დღეებში ჩამოიყვანენ.

✦ 6 ოქტომბერს საგუბერნიო სატუსაღოს ტუსაღს ძიძიას თავის ჩამოხრჩობა განუზრახავს. ტუსაღების ძილის დროს, მას ფანჯრის რკინაზე მოუბამს ზეწარი, გაუყვია შიგ თავი და ჩამოკიდებულა. ეს დაუნახავს მორიგ ზედამხედველს, დაუყვირია. ყვირილზე გაუღვიძიათ ტუსაღებსაც და უშველიათ. თავის ჩამოხრჩობის განზრახვის მიზეზი გამოურკვეველია. ძიძიას დაცემა ბრალდება.

ფიქრის მორევში.

არაფერი დამტკიცება არ უნდა იმას, რომ დიდს კაცს საქმეც დიდი მოეთხოვება. დიდი კაცი დიდი ბუნებისა უნდა იყოს. პატარა კაცს დიდი მწიკვლიც ეპატიება, ხოლო დიდს—პატარასაც არ აპატიებს ქვეყანა, ვერ აპატიებს.

როცა პატარა რასმე დააშავებს—მიუტევე უფალო, რამეთუ არა იცის, რასა იქმსო—იტყვის ქვეყანა და მიუტევებს, მიუტევებს ხშირათ არა მისატევებელსაც, მაგრამ ჩაახვდენს კი ხალხი, რა ცუდიც ჩაუდენია, აღნიშნავს მის საქციელს, თუ პირადათ დამნაშავისთვის არა, თუ კერძოთ მის გამოსაკეთებლათ არა, ქვეყნისთვის სამაგალითოდ მაინც, რომ ქვეყანამ დაინახოს ავი და ცუდი, აწონ-დასწონოს იგი და საკვლავოთ იხელმძღვანელოს იმით.

და, აი, როცა ქვეყანას ასეთი პატარა კაცუნები, ვითომ მისი ჭირისუფლები გაუჩნდება, მაშინ ეჭირვება მას დიდებისათვის მამხილებელი, გზად კეთილისა დამყენებელი, არეული ბრბოს მომრჯულებელი, გადაგვარებულების მომნათვლელი დიდი კაცები, დიდი ბუნების მქონე, ვარსკვლავნი ქვეყნისანი.

და ქვეყანაც ღმერთმა ისე ნუ წარყვნას, რომ ასეთი ვარსკვლავები არა ყავდეს, ცოტა მაინც, თითებზე დასათვლელად...

სწორეთ ამ ვარსკვლავებს უნდა ეპყროთ საჭე ქვეყნის საქმისა. ძირით-კიდემდი უნდა მეხივით გულს ხვდებოდეს ხალხს მათი სიტყვა, მათი წერილი, მათი საქმენი. ამ სიტყვასა, წერილსა და საქმეს შორის ნამცვრევი განსხვავებაც არ უნდა იყოს.

ქვეყნის საკეთილდღეოთ უნდა მეტყოდეს, ჰანგს აჟღერდეს, საქმობდეს იგი ვარსკვლავი...

ქვეყანას ვარსკვლავ-სარდალი ეჭირვება, ვარსკვლავ-სარდლები სიტყვის, წერილისა და საქმისა. თვარა—სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა და სხვაა წერა!—

სით გადაგვტყორცნის მაშინ ბედისწერა?!.

დ.

ღია ბარათი.

ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობას.

გასული კვირის წარმოდგენაზე ერთს თქვენს მსახიობს ბატ. არაბიძეს ადგილობრივი ქართული გაზეთი გამოუტანია სცენაზე და უკბილო ოხუნჯობით მოუხსენებია იგი. მე ახლობელი კაცი ვარ ადგილობრივი პრესისა და არ შემიძლია გულისწყრომით არ აღვნიშნო ეს მოვლენა.

სცენიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაკილვის საქმეში უცხო და ხამი, იქნება, ჩვენც არ ვიყოთ, მაგრამ იმ სახით, როგორც ეს ბატ. არაბიძეს უნებებია, უადგილოდ, უხერხულათ ვთვლი,—მეტი რომ არა ვთქვა, და პასუხსაც უპირველეს ყოვლისა რეჟისორისაგან და შემდეგ თქვენგანაც მოვითხოვ.

დათ. მესხი.

10 ოქტომბერი 1912 წ.
ქუთაისი.

დეპეში.

ომი ბალკანეთზე.

(პეტ. დეპ. სააგენტო)

სტამბოლი. რუსეთის ელჩის დაჟინებით, ოტომანის მთავრობამ კიდევ ოთხი დღის ვადა მისცა საბერძნეთის გემებს, რომ გავიდენ დარდანელის სრუტიდან.

ვარნა. დილით ოსმალეთის გემები ბალჩიკისა და კაკარნის სიმაგრეებს ესროდენ.

უსკიუბი. სერბიის სამხედრო ძალა პოლანკეს მიადგა ასაღებათ, ოსმალეთის ჯარისკაცები უწესოებას ჩადიან. კუმანოვოში ჯარისკაცებმა ბულგარელ-სერბიელი ღვდლები, მასწავლებლები და მრავალი მოქალაქეები დაატუსაღეს.

სტამბოლი. საბერძნეთის გემებისთვის სრუტეში გასავალი სამი დღის ვადა ეცოტავებათ და მომატებას გამოითხოვენ. ბერძნებმა დაიკავეს ლემოსი და ტენედოსი. ჯუმაის მახლობლათ ოსმალეთის ჯარი ბულგარეთის ტერიტორიაში შევიდა. პრიშტინის და სანჯაყის მახლობლათ გადალახეს სერბიის საზღვარი.

ბერანის რაიონში ოსმალებმა რამდენიმე სიმაღლე დაიჭირეს. ოსმალებმა ფილიპოლის კუსტანდილის და ბულგარეთის ტერიტორიისკენ იერიში მიიტანეს.

ბელგრადი. საღამოს სერბიის ჯარის მოწინავე რაზმმა ისარგებლა ნისლით, იერიში მიიტანა და პოდუევის მახლობლათ თხრილები დაიკავა. ოსმალებმა პოზიცია დასტოვეს.

სოფია. 8 ოქტომბერს ღამით ქუჩებში მანიფესტი გააკრეს. ქალაქი ზარების გუგუნმა გამოაღვიძა. ტაძრები ხალხით აივსო. მიტროპოლიტმა დიდებულთა თანდასწრებით პარაკლისი გადაიხადა, უსურვა ბულგარეთის სამეფო სახლობას დღეგრძელობა და ბულგარეთსა და მის მოკავშირეებს გამარჯვება. ომის გამოცხადებას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა: მეფემ მანიფესტი წაიკითხა და ომის დაწყების ნიშნათ პირველათ თვითონ გაისროლა. აღელვებული ჯარი ბრძოლის ველზე წავიდა.

შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე.

ისევ ხელოვნების შესახებ.

(ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის წერილის გამო.*)

კაცთა შორის სიმართლე, ობსოლიუტური ჭეშმარიტება ყოველთვის ერთი და იგივე იყო და იქნება კიდეც, მაგრამ თვით შემეცნება ამ ჭეშმარიტებისა, მისი წარმოდგენა მუდამ იცვლება და ამ ჭეშმარიტების ნამდვილ შინაარსის შეგნებას უახლოვდება, მაგრამ ჭეშმარიტებათ ჯერ კიდევ ვერ იქცევა, იგი მხოლოდ უახლოვდება ამას და ეს დაახლოვება ჭეშმარიტებისა, თვით ეს პროცესი გახლავთ ის, რასაც ჩვენ პროგრესის სახელით ვნათლავთ.

ადამიანის რთული ბუნება მუდამ ამ ობსოლიუტურ ჭეშმარიტებისაკენ მიილტვოდა, მისთვის იბრძოდა და ეს ბრძოლა შეადგენდა მისი ცხოვრების შინაარსსაც.

სრული, კონკრეტული, ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული დეფინიცია ამ ჭეშმარიტებისა არ არსებობს, ადამიანი სხვადასხვა დროში სხვადასხვა სახით ხატავს მას.

ჭეშმარიტება სიყვარულისა პირველყოფილ ადამიანს სულ სხვა ეგონა, ვიდრე ჩვენ გვგონია ის დღეს; მისი წარმოდგენით სიყვარული არ უნდა გაცილებოდა გარეშე მისი თავისა და მის ახლო მყოფ ვიწრო წრისა: ცოლისა და შვილებისა, საგვარეულო წესის დროს-კი გარეშე მისი ტომისა და ამ რიგათ; დღეს კი ამ სიყვარულის ასპარეზე ბევრათ უფრო გაფართოვდა წინანდელთა შედარებით, ხოლო ქრისტეს მაღალ მცნებაში: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი", ამ დიად მცნებაში სიყვარული ობსოლიუტურ ჭეშმარიტებას მეტისმეტათ დაუახლოვდა და ცხოვრების უსრულეს მიზნათ გარდაიქცა. მომავალი კაცობრიობისათვის ამგვარი დეფინიციაც არ იქნეს შეიძლება საკმარისი და მან საკითხი უფრო სხვა სახით გადაწყვიტოს.

ასე იცვლება ჩვენი წარმოდგენა ჭეშმარიტებაზე, ხოლო თვით ჭეშმარიტება კი, როგორც რაღაც ობიექტიური ამ ცვალებადობის საზღვრების გარეშე რჩება მუდამ და ამიტომაც იგი მუდამ ერთი და იგივეა, უცვლელი (სახეში მაქვს თვით შინაარსი, პრინციპი ამ ჭეშმარიტებისა).

ასევე იცვლება ადამიანთა წარმოდგენა ხელოვნებაზეც. დღესაც სხვადასხვა გვარი წარმოდგენისაა მრავალი ჩვენგანი ხელოვნებაზე, მის დანიშნულებაზე, და პრინციპებზე, რა თქმა უნდა ჩვენ შორის ზოგი უფრო ახლოს არის ჭეშმარიტებასთან და ზოგიც კიდევ შორს, შეიძლება მათ შორის მე ყველაზე უფრო დაშორებული ვიყო მისგან და ჩემი დეფინიცია სრულიადაც ვერ გამოხატავდეს ამ აბსოლიუტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს ჩემთვის ჯერ ნათელი არ არის, მე ჩემ მიერ აღიარებული მრწამსი უფრო ახლო მიმაჩნია ჭეშმარიტებასთან და ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს, სანამ ეს ასე არის, ეს ჩემი მრწამსიც საჯაროთ აღვიარო.

იყო დრო, როდესაც ხელოვნების ქურუმთ მთელი ყურადღება, შემოქმედებითი ნიჭი საზოგადოების ერთ მცირე ნაწილისათვის მიეპყროთ; ხელოვნებასა, მასა ვერ იცნობდა და ვერც მიწვდებოდა, იგი იყო „ხელოვნება არჩეულთა". ხალხისა და ხელოვნების შუა ქურუმთ ყრუ კედელს აშენებდენ, რადგან ეშინოდათ ბრბოს თავის უგნურობით არ დაეგმო და არ წაებილწა ეს წმინდათა წმინდა.

ამ ხანებში ხელოვნებას საზოგადოთ და პოეზიას კერძოთ ყავდა თავისი თაყვანის მცემელი, მაგრამ მეტათ ვიწრო წრეში, სალონებში.

ასე ესმოდათ ხელოვნება პსევდოკლასიკებს.

მაგრამ გაირღვა ეს ხელოვნურათ აშენებული კედელი ხალხისა და ხელოვნებისშუა, მას შემდეგ, რაც საფრანგეთში კლასიკების ადგილი დაიჭირეს სენტიმენტალისტებმა და უმთავრესათ რომანტიკებმა.

„მას შემდეგ, რაც რომანტიზმი გაბატონდა ლიტერატურაში",— ამბობს კრიტიკოსი—დავით-სოვაჟო „Collège Stanislas"-ში—„მიზანი ხელოვნებისა თითქოს შეიცვალა, იგი აღარ გამოიხატება მკითხველთა გემოვნების დაკმაყოფილებით, რომელსაც კლასიციზმი აღწევს მშვენიერ ფორმების აღწერით და ზოგიერთ პრივილეგიით აღჭურვილ გრძნობათა ანალიზით. ახლა მისგან მოითხოვება გამოხატვა ყოველგვარი ფორმების ორიგინალური ხასიათისა, როგორც ლამაზის, ისე უშნო-უმსგავსოს,—აღწეროს ვნება ისე, როგორათაც იგი არის,- წინასწარის განურჩევლობით, რომ ამოიღონ მისგან ყველაფერი, რაც კი შიგაა: კარგი და ცუდი, სასიამოვნო და სანაღვლელი, მდაბალი და კეთილშობილური და მოახდინოს შთაბეჭდილება მთელ საზოგადოებაზე, რომელიც მეტს აღარ უფრთხის ამას, რადგან მისი გემოვნება გაფართოვდა".

დღეს ეს აზრი გამარჯვებულია, და ძველი კლასიკების შეხედულება პარადოკსათ მიგვაჩნია.

ამით ხელოვნებამ ერთი ნაბიჯი წინ წასდგა.

დღეს ჩვენ სალონურ, „არჩეულთა" ხელოვნებას არ ვიცნობთ ნამდვილ ხელოვნებათ; ხელოვნება იმდენათ უფრო ძვირფასია, რამდენათაც იგი მისაწდომი და გასაგები ხდება ფართო მასისათვის, საზოგადოებისათვის.

დღეს სხვა ხასიათის სადაო კითხვამ იჩინა თავი; დღეს ჩვენ პოეტის ნაწარმოების მხოლოდ გაგება და დახსნა როდი გვაკმაყოფილებს, არამედ პოეტ, გინდა ხელოვანს საზოგადოთ სხვა ხასიათის მოთხოვნილებას ვუყენებთ და აი სწორეთ აქ ვიყოფებით ჩვენ სხვადასხვა ბანაკათ, რადგან სხვადასხვა გვარათ შეგვიგნია ხელოვნების მიზანი.

ზოგს სურს, რომ ხელოვნება მხოლოდ და მხოლოდ მისთვის არსებობისათვის ბრძოლაში გამოსადეგ იარაღად გარდაიქცეს; ამათ გონიათ, თითქოს საჭიროა „ხელოვნებამ იზრუნოს ივანეს, პეტრესა და არშაკას „ბედნიერებისათვის", იმისთვის, რომ ყველას თანასწორათ დოვლათი მიენიჭოს, სადილათ შემწვარი ვარიები და ფლავი არ მოაკლდეს, რომ ყველა თანასწორათ თფილსა და კარგათ მოწყობილ სადგომებში სცხოვრობდეს და რომ სადგომებს, სიბინძურის თავიდან ასაცილებლათ, კარგათ მოწყობილი კანალიზაცია ქონდეს" (იხ. არჩილ ჯორჯაძის წერილი ხელოვნების შესახებ). ასეთი შეხედულების არიან ხელოვნებაზე ის პირები, რომელთაც სურთ მის ერთადერთ უტყუარ საფუძვლათ და საბუთათ უტილიტარიზმი აღიარონ. აი, რას ღაღადებენ ის უკიდურესი „რეალისტები", რომელთა შემოქმედებას ტენდენციოზუ-

---

*) ეს წერილი სხვადასხვა მიზეზის გამო დაგვიგვიანდა. ა. პ.

ბერლინი. პრინცი ჰენრი პრუსიელი ლონდონში წავიდა.

პარიზი. გაზეთი „რადიკალი“ ამბობს: ჩვენი სურვილია—საზანოვს ბალკანეთის მძიმე საკითხში მხარი დაუჭიროს რუსის საზოგადოებამ, უკანასკნელმა უნდა შეიგნოს, რომ საფრანგეთის პოლიტიკას ბალკანეთის საქმეებში მთელი საფრანგეთის პრესა მხარს უჭერს. ჩვენი პოლიტიკა ერთნაირათ ემსახურება როგორც ჩვენსას, აგრეთვე რუსეთის ინტერესებსაო.

„პტი პარიზიენი“ სწერს —სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, იტალიის მეფეს უნდა რომის იმპერატორის ტიტული მიიღოსო.

რომი. პოლიტიკურ წრეებში დიდმნიშვნელობას არ აძლევენ საძუილანოსა და ბერტჰოლდის შეხვედრას. საკითხი სამთა კავშირის განახლებაზე გადაიდო ბერლინში მომავალ საძუილანოს ბერტჰოლდის ხელახალი შეხვედრამდი. მინისტრების კრებაზე განიხილავენ აგრეთვე ბალკანეთის საკითხსაც. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: იტალია რაიმე ტერიტორიალური ცვლილებისა წინააღმდეგიაო.

(გაზეთებიდან.)

სერბიაში დიდი სამზადისი მზადებაა. მობილიზაცია ჯარებისა იქ უკვე მოთავდა. ჯარის კაცებათ მწერლები, პროფესორები და მასწავლებლები ეწერებიან. მცირე წლოვანთაც უთხოვიათ—ჩვენც მოგვეცით იარაღი და ჯარის კაცებათ ჩაგვრიცხეთო. პარტიებს შორის შუღლი და უთანხმოება მოსპობილა. ყველა განურჩევლათ მიმართულებისა ომს თურმე დიდი აღტაცებით ეგებება.

ოსმალებს გადაუწყვეტიათ ბულგარელებს ანდრიანოპოლამდი წინააღმდეგობა არ გაუწიონ. ანდრიანოპოლში კი, სადაც ოსმალეთს 50,000 ჯარის კაცი ეყოლება შეებრძოლებიან.

ვას. ნემიროვიჩ—დანჩენკო სერბიიდან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებს—სერბიას იმის მეტი არაფერი უნდოდა ოსმალეთისაგან, რომ ამას ბერლინის ტრაქტატი განეხორციელებიაო. ამას იქით ოსმალეთის დაპირებით აქ აღარავინ მოტყუვდებაო.

ავსტრიელებს ბოსნიაში იარაღი დაურიგებიათ.

სერბიაში მგოსან დრაგუჩინ ილიჩს რაზმი შეუდგენია. მას ჯერ-ჯერობით 700 მებრძოლი შეუკრებია და ეპირება ძველ სერბიაში საბრძოლველათ წასვლას.

გაზეთ „რეჩს“ ატყობინებენ: ჩრდილოეთმა სერბიელებმა ბალკანეთის კოალიციურ სახელმწიფოებს დახმარება აღუთქვესო. ალბანელთა ბელადი ისა ბოლეტინაცი პირდება 20,000 ჯარის კაცის მოშველებას, ბაირაცმურიც ამდენსავე, ატიბეი კი გაცილებით მეტს. ქრისტიანებს ალბანელების გულწრფელობა სწამთ.

რ უ ს ე თ ი.

კიევი. სლავიანთა საზოგადოებამ გადაწყვიტა შეკრიბოს ფული. სამხრეთ სლავიანების სასარგებლოთ განზრახვა აქვთ ამ მიზნით ფასიანი ლექციებიც გამართონ.

პეტერბურგი. საცენზურო კომიტეტმა გაზეთი „რეჩ“-ის 266 ნუმერს წერილისათვის—„გუშინდელი წინასწარი საარჩევნო კრება პეტერბურგში“ და გაზეთ—„სტოლიჩნი ოტკლიკის“ მე—7 ნუმერს კონფისკაცია უყო.

აქ მოვიდა ბულგარეთის ელჩი ბობჩევი.

ტაგანროგი. საბერძნეთის საკონსულოში მრავალი ახალშენის მცხოვრები ომში წასასვლელათ ეწერება.

სევასტოპოლი. სლავიანები, ბერძნები და ოსმალები სამშობლოსკენ მიდიან.

პეტერბურგი. საცენზურო კომიტეტმა გაზეთ „ვეჩერნოე ვრემია“-ს მე 270 ნუმერს კონფისკაცია უყო წერილისათვის „რავქნათ“.

ნ ა რ ე ვ ი.

თქმულება ქალის გაჩენაზე.

საყურადღებო თქმულება არის დარჩენილი აფრიკის ზოგიერთ მცხოვრებთა შორის ძველი დროიდან ქალის გაჩენაზე: ღმერთმა „ტვაშტრიმ“, რომელიც უდრის რომაელების ღმერთს „ვულკანს“, გააჩინა ქვეყანა. როცა ჯერი მიდგა ქალის გაჩენაზე, მან დაინახა, რომ ყველა ის მასალა, რაც საჭირო იყო შექმნისათვის უკვე დახარჯულ იყო, მაგრამ უცბათ გაბრწყინდა მისი სახე: მან იპოვა საშვალება! აიღო სიმრგვალე მთვარისა, სინაზე მობიბინე ჯეჯილისა სხივი სუფთა ბალახისა, სიხავერდე ყვავილისა, კიდევ აიღო სიმჩატე ბუმბლისა, უმშვენიერესი გამომეტყველება ფური ირმისა, სიმხიარულე მზის სხივების ამოსვლისა ცრემლები ღრუბელთა, დაუდგომლობა ქარისა, ბოლოს ყოველსავე ამას მიუმატა, მშიშრობა ყურდგლის, სიამაყე ფარშევანგის, სიმაგრე ალმასის. მიუკარებლობა ვეფხის, სიცივე მთის მწვერვალთა თოვლისა, ყბედობა თუთიყუშისა—ყველა ეს მან ერთმანეთში არია და გაჩნდა ქალი. აღტაცებას სიეცა ღმერთი, „ტვაშტრი“.

ნემეცური ენის მასწავლებელი და ბონაპარტე.

ერთხელ პარიზის სამხედრო სასწავლებელში ნემეცური ენის მასწავლებელმა, ბაუერმა შენიშნა, რომ ბონაპარტე არ არის კლასში და იკითხა:

— სად არის?

უპასუხეს, რომ ბონაპარტე არტილერიის პარუჩიკის ეგზამენს იჭერსო.

— ნუთუ?—დაცინვით იკითხა ბაუერმა: ნუ თუ მასაც აქვს რისამე ნიჭი?

— როგორ, განა არ იცით?—უპასუხა მთელმა კლასმა,—ერთი საუკეთესო მათემატიკოსია სასწავლებელში.

— ჰო, მართალია, მე მუდამ იმას ვფიქრობდი, რომ მათემატიკა მხოლოდ სულელებისათვის არსებობს,—შენიშნა ბაუერმა, რომლის გაკვეთილებზე ნაპოლეონი მართლაც მოიზარმაცებდა.

შემდეგ, იმპერატორობის დროს ნაპოლეონს მოაგონდა ბაუერი და სიცილით სთქვა:

— ნეტავი მაცოდინა, ცოცხალია თუ არა ბაუერი, რომ გავახსენო, როგორ გამართლდა მისი წინასწარმეტყველება ჩემზე.

— —

ერთხელ, როდესაც ნაპოლეონი ჯერ ისევ არტილერიის პარუჩიკი იყო, ერთმა გერმანელმა მხედარმა შენიშნა, რომ მისი თანამემამულე—გერმანელები მხოლოდ იდეებისათვის იბრძვიან და ფრანგები კი—რომ სიმდიდრე შეიძინონ.

— თქვენ მართალი ხართ,—უპასუხა ბონაპარტემ,—თვითოეული იბრძვის იმის შესაძენათ, რასაც ის მოკლებულია.

— —

ერთ სეირნობის დროს შემთხვევით რუსოს საფლავთან მოხვდა ნაპოლეონი. დაათვალიერა საფლავი და მიმართა თავის მხლებლებს:

— უკეთესი იქნებოდა საფრანგეთის მშვიდობიანობისთვის, რომ ეს კაცი სულ არ გაჩენილიყო ქვეყანაზე.

— რატომ?—შეეკითხა ერთი მხლებელთაგანი.

— იმიტომ, რომ მან მოამზადა რევოლიუცია.

— მე მგონია,—მიუგო მხლებელმა:—თქვენ მაინც არა გაქვთ საბუთი ემდურებოდეთ რევოლიუციას

— თქვენ მართალი ხართ, მაგრამ მომავალი დაგვანახებს, უკეთესი იყო თუ არა მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის, რომ არც რუსსო და არც მე სულ არ გავჩენილვიყავით ქვეყანაზე.

ზემო-იმერეთი.

სოფ. ღელვანი ამ სოფელშია ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც 1898 წელს დაარსდა. პირველ სამს წელიწადს შკოლას არც საკუთარი შენობა და არც მიწა ქონდა; სწავლა ნაქირავებ შენობაში იყო 1900 წ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა,—დასკალ, ყარამან და ლადიმერ მაღრაძეებმა უფასოთ დაუთმეს საზოგადოებას შკოლისათვის ხუთი ქცევა მიწა, მშვენიერი ნაძვნარით შემკული. ასეთი თანაგრძნობისათვის ხალხმა განაჩენი დაადგინა, რომლითაც აღნიშნული პირები სამუდამოთ ყოველივე სასოფლო წვრილ ხარჯებისაგან გაათავისუფლა. ამ დღეიდან მთელი რვა სოფელი შკოლის შენობის აგებასაც შეუდგა ღ კიდევაც აიგო ერთსართულიანი ხის შენობა, რომელიც 2000 მანეთამდი დაუჯდათ. იმ დროს, როდესაც ხალხი შენობის აგებას შეუდგა შორაპნის „სალესნიჩის“ უფროსმა—ი. რ. მაისურაძემ მიმართა საზოგადოებას და ურჩია: თუ გადაწყვეტთ ორსართულიანი ქვის შენობის აგებას, იმ შემთხვევაში კირითა და მის მასალით შემწეობას აღმოგიჩენთო, მაგრამ მაშინ ხალხმა ვერ შეისმინა ეს წინადადება და კიდევაც წააგო, რაც დღეს ყველასთვის ცხადია.

რაკი შენობა ააგეს, სწავლის საქმეც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, შეიგნეს შკოლის მნიშვნელობა და ყოველ წელს მოწაფეთა რიცხვი შესამჩნევათ მატულობდა. უკანასკნელ წლებში მაინც მეტათ იმატა სწავლის მსურველთა რიცხვმა და 30—60 ბავში ყოველ წელს შკოლის გარეთ რჩებოდა, რადგან ერთ მასწავლებელს არ შეეძლო ყველა მთხოვნელები დაეკმაყოფილებია.

1911 წელს ამ შკოლაში დაინიშნა მასწავლებლათ ბ-ნი მ. ბ. დეკანოსიძე; იგი მეტათ მხნე გამოდგა და მოსვლისთანავე შეუდგა შკოლისათვის მეორე შენობის შეძენას და მიზანსაც მიაღწია. წასულ წლის ეკენისთვეში ხალხს აყიდვია შენობა, რომელიც 800 მანეთამდი დაჯდა. ნოემბრიდან მეორე მასწავლებლათ დაინიშნა ბ-ნი ს. რ. ბუაჩიძე ხაზინის ხარჯით და ყველა შკოლის გარეთ დარჩენილი მოწაფე მიიღეს. ამნაირათ შკოლა ორ კომპლექტიანათ გადაკეთდა, ოთხი განყოფილებით და მას აქით ერთი ბავშიც აღარ დარჩენილა შკოლის გარეთ, თუმცა მოსწავლეთა რიცხვი მაინც კიდევ აჭარბებს ნორმას. ამ ჟამად 130 მოწაფე სწავლობს. სწავლების საქმე წესიერათაა; ხალხსა და მასწავლებლებს შორის სიყვარული და თანაგრძნობაა. **სერაძე.**

სამი ტყუილი.

(ზღაპარი ა. ჭანჭალეიშვილის გადმოცემული).

მეფემ ბძანება გასცა—ვინც სამჯერ მომატყუებს ყელთამდი ოქროთი ავავსებო. ვეზირებმა შეაჯერეს სახელმწიფო, მაგრამ ისეთი ვერავინ იპოვეს, რომელსაც ეკისრა ტყუილების თქმა. ბოლოს თავისი ნებით გამოეცხადა ვეზირებს ერთი თავზე ხელ-აღებული კაცი—მე ვიკისრებ ტყუილების თქმასო; თან დასძინა: ხვალ დილას ადრე მელოდეთო. გახარებული ვეზირები ეახლენ მეფეს და მოახსენეს, რომ დილით მოვა მეტყუილიაო. დილისთვის მეფემ სასახლეში შეკრიბა ყველა დიდებული და დარბაისელი და მოუთმენლათ ელოდენ მეტყუილიას, მაგრამ იგი არსად ჩნდა. ბოლოს შუადღეს არაფერი უკლდა, რომ მეტყუილიაც მობძანდა მისი ბრწყინვალებით. მეფემ შეუწყრა:—რათ დაიგვიანე ამდენ ხანს, როდესაც დილისთვის დაგვპირეო.

— რას მეუბნებით, ბრძანებელო, მიუგო მეტყუილიამ. თქვენს მოტყუებას როგორ გავბედავ. და ახლა თუ ცოტა ტყუილივით გამომივიდა, ამას თავის გასამართლებელი მიზეზიც აქვსო. აი, საქმე როგორ გახლავთ: გათენებულიც არ იყო კარგათ, მე რომ თქვენკენ გამოვემგზავრე. თქვენდა სამწუხაროთ და ჩემდა საუბედუროთ გზაზე ერთი დაბრკოლება შემხვდა. მივადექი ერთ მდინარეს გასასვლელათ. უწინ ხიდი იყო გადებული და ამ დილას რაღაც მანქანებით ის ხიდი არ დამხვდა. ფეხითაც არ შეიძლებოდა გამოსვლა. დამასხა სიმწრის ოფლი და სირცხვილმა შემაწუხა, რომ თქვენ თქვენის დარბაისლებით მელოდებოდით, და მე კი მაგვიანდებოდა. შეიძლება, ისიც გეფიქრათ, რომ გვატყვილებს არ მოვაო. ამ გაჭირვებაში, რომ ვიყავი უნებურათ მომაგონდა, რომ ჯიბაში გოგრის სათესური მქონდა. ამოვიღე ჯიბიდან და იქვე მდინარის პირას დავთესე. ამოვიდა, მაგრამ რა ამოვიდა! ორ თვალს რომ არ უნახავს, ისეთი ყლორტები გაიკეთა, თქვენს მზეს ვფიცავარ და ჩემი ცოლშვილი ნუ გამიწყდება, რომ მდინარის მეორე ნაპირას გაუწია. გახარებული შევდეგი ზედ ღ ისე თამამათ გავედი მეორე ნაპირას, ნაბიჯიც არ შემშლია. უფრო ადრე მოვიდოდი, მაგრამ უნდა გაგიტყდეთ და გითხრათ ჩემი სიწუწკე, მეორე ნაპირზე ისეთი გოგრა გამოება, რომ, მგონია, ნახევარ თქვენს სახელმწიფოს ეყოფოდა. დამენანა მისი იქ დატოვება, დავანთე ცეცხლი, შევწვი შევჭამე და ახლა მოვსულვარ თქვენ წინაშე, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულო.

გაათავა თუ არა ლაპარაკი დარბაისლებმა ერთ ხმად იყვირეს:—რაც მოგვიყევი თავიდან ბოლომდი ტყუილია.

თუ ტყუილია, მეც ეს მინდოდა, მე ერთი [illegible] მეორესთვის [illegible] მელოდეთო.

დაუკრა მეფეს თავი და გამოვიდა გარეთ, დარჩა ყველა გაკვირვებული.

დილისთვის ჩვეულებრივათ შეიკრიბნენ. მეტყუილიამ ჩვეულებრივათ დაიგვიანა. მეფე ახლაც შეუწყრა. მეტყუილიამ მოკრძალებით მოახსენა.

— მბძანებელო! ყველა ოჯახის შვილი ვართ და ყველას ოჯახი გვაქვს. დილას აქეთკენ რომ ვემგზავრებოდი, ცოლმა მითხრა, მარილი არა მაქვს და მომიტანეო. მე რაკი აქეთ მომეჩქარებოდა, იმ წამსვე გავექანე მარილის მაღნისკენ. იქ რომ მივედი მაშინ გამახსენდა რომ იარაღის წამოღება დამვიწყებოდა. უკან დაბრუნება დამაგვიანდებოდა და ისევ მოურთე და მოურთე ჩემი გაჯახირებული თავი კლდეს. ჩამოვტეხე საჭირო მარილი, ავიკიდე ზურგზე და გაუოქი შინისკენ. ძალს მარილი მივეცი და ქუდს ხელი წამოვკარი დასახურავათ. ქუდი მესროლა თავზე. მოვისვი ხელი თავზე, და იმისთანა თქვენ მტერს, მე ელდა მეცა. სად იყო ჩემი ნახევარი თავი... მომტეხოდა და ალბათ კლდეს რომ ვუხათქუნებდი, იქ დავარდებოდა-თქვა ვიფიქრე. გავექანე კლდისკენ, ჩემი ნახევარი თავი იქვე ეგდო, შიგ ჩარჩენილი მარილი გამოვფხიკე, მივიდგი, და ეს არის იქიდან მოვქრივარ სულმოუთქმელი.

დარბაისლებმა სიტყვის დათავებაც არ აცალეს ისე შექნეს ერთხმად ყვირილი:—ტყუილია, ტყუილიო!

თუ ტყვილია და მეც ეგ მინდოდაო. ეს მეორე და მესამესთვის ხვალ მელოდეთო.

მეფემ დილისთვის ადრე დაიბარა დარბაისლები და უთხრა:—ხომ ხედავთ რა ცოცხლათაც გვატყუილებს ის წყეულიო. ხვალისთვის კიდეც რომ შეატყოთ, რომ ტყუილი სთქვას, არამცა და არამც არა სთქვათ—ტყუილია, ტყუილიო! რაცა სთქვას, ყველაფერზე—მართალია მართალიათქო, თვარა ნიზლავს ვაგებთო.

მეტყუილია შინ რო მივიდა, ამოიღო მიწიდან დიდი ქური, გაასუფთავა, გაუკეთა საკლაურები, დილას აიკიდა ზურგზე და გაუდგა მეფისკენ. შევიდა აივანზე და ქური იქვე მიდგა, თვითონ კი შევიდა დარბაზში და ყველას სალამი მისცა. გაკვირვებულმა მეფემ კითხა.

— ეგ ქური რათ გინდოდა რომ მოგიტანიაო? მეტყუილიამ მიუგო:

— მამაჩემს მამათქვენისთვის ამ ქურით ოქრო უსესხებია და ახლა წასაღებად მოვედი. არ შეგაწუხებდით, მაგრამ ძლიერ მეჭირდებაო.

— მართალია, მართალია!-ო შექნეს ღრიალი დარბაისლებმა.

— აი, ბატონო თქვენი დარბაისლებიც ამოწმებენ ჩემს ნათქვამს—სთქვა მეტყუილიამ. მეფეს გულიანათ გაეცინა. ბრძანა ერთი პანღური ამოეკრათ მისთვის, გაევსოთ ქური ოქროთი და გაეშვათ.

ჩაწერილი ი. ჰაგნელისა.

რი სულიერი განწყობილების ბეჭედი აზის.

სულ სხვანაირი შეხედულებისაა ხელოვნებაზე მეორე ჯურის კრიტიკოსები, რომელნიც სრულიად მოწინააღმდეგე პოლიუსზე დგანან, ვიდრე უტილიტარისტები. მათი აზრით ხელოვანი მაღლა უნდა იდგეს დღიურ წვრილმანურ ზრუნვაზე, ჰირვარამზე, მისი შემოქმედების ასპარეზი უსაზღვრო სივრცე უნდა იყოს, იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ წინაღებულ იდეებისაგან, უნდა ემსახურებოდეს წმინდა ხელოვნებას და არ უნდა ჩამოყავდეს ამ თვალუწვდენელ სიმაღლიდან ძირს, ხალხში, რათა ემსახუროს უკანასკნელის მისწრაფებას, მის მიზანს და არსებობისათვის ბრძოლას; ყველა ეს წუთიერია, წარმავალი და ცვალებადი, მაშინ, როდესაც თვით ხელოვნება საუკუნოებრივი, უცვლელი მშვენიერებაა, ჭეშმარიტებაა; ნუ დავაწვრილმანებთ მას, ნუ გავიხდით ჩვენდა მსახურათ. ვიწამოთ „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“... და სხვ. ეს დავაც ძველია, მასაც თავისი ისტორია აქვს, მაგრამ საბოლოოთ გადაწყვეტილი მაინც არ არის.

ჩვენი აზრით ორივე შეხედულება შეცთარია. სრულიად ვეთანხმები ბ-ნ არჩილ ჯორჯაძეს, რომ უტილიტარიზმის სრული გამეფება ხელოვნებაში, ხშირათ სულიერ უმოძრაობის გამეფებას მოასწავებს.

როგორ შეგიძლია ხელოვანთან წინასწარ შემუშავებული პროგრამით მიხვიდე და მასაც მოსთხოვო, რომ მისი შემოქმედება შენს მრწამსს შეესაბამებოდეს.

მას, ვინც მოინდომებდა პოეტის მუზა არსებულ რეალურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განწყობილების ფარგალში მოემწყვდია, პოეტი ბრაზით მიუგებდა უკვდავ გერმანელ ლენაუს (პოეტია) სიტყვებით: „თავი დამანებეთ, თქვენი ცთა მე საეჭვოდ მეჩვენება, თქვენ გინდათ გაათავისუფლოთ ცხოვრება ყოველგვარი ძალადობისაგან, და ამავე დროს ხელოვნებას თავისუფლებას არ აძლევთ. მომინდება,—დავკრეფ ყვავილებს ამ დაბურულ ტყეში;—მივუძღვნი ჰიმნს თავისუფლებას, მაგრამ თქვენს ნებას არასოდეს არ დავმორჩილდები“.

ხელოვანი ყოველთვის თავისუფლების მოტრფიალეა, რადგან ხელოვნების აყვავების პირველი პირობა თავისუფლებაა.

ხოლო ის ხელოვანი, ის პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას ძალათ უკავშირებს უფარდებს, ამა თუ იმ ჯგუფის, გინდა პარტიის მსოფლმხედველობას და ამით სურს მათ შორის პოპულიარობა მოიპოვოს და ყურადღება დაიმსახუროს—ნამდვილ შემოქმედებას კლავს, ამახინჯებს, რადგან მისი სულიერი „მე“, სულ სხვაგვარ გრძნობებს უკარნახებს მას და იგი ხელოვნურათ კლავს ამ გრძნობას, რომ მისი ადგილი სხვას დაუთმოს, რომელსაც უფრო მეტი ფასი აქვს ამა თუ იმ ნაწილში—წრეში.

ამგვარი ნაწარმოები ყოველთვის მოკლებულია პაფოსს, რომელიც შემოქმედების პირველი დამახასიათებელია.

აქედან ცხადია, რომ ის „კრიტიკი“, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ მსოფლმხედველობით, შემუშავებულ პოლიტიკური და სოციალური პროგრამით მიდის ხელოვანთან, უკიჟინებს და გმობს მის შემოქმედებას, თუ უკანასკნელი გადაცდენია „კრიტიკის“ შეხედულობას, ამგვარი კრიტიკი, გინდა ლექტორი, ბ-ნი არჩ. ჯორჯაძისა არ იყოს—„ამ შემთხვევაში ცუდ სამსახურს უწევენ არა მარტო ჩვენს სალირიკო პოეზიის გაფურჩქნას, არამედ ჩვენს სულიერ გამდიდრების საქმესაც“.

„დასაგმობი და უარსაყოფია“ აგრეთვე კრიტიკი, თუ კი მას „ემპირიულ ფარგლის გაცილებისა“ და სამუდამოთ გადალახვის ტენდენციები ებადება.

ორივე ამ შეხედულებათაგანი უარყოფითია და მათ გვერდი უნდა ავუხვიოთ—პირველს, როგორც ვიწრო მატერიალისტურ მსოფლმხედველობის შედეგსა, ხოლო მეორეს კი—როგორც ვიწრო იდეალისტურ შეხედულებას.

ჩემი აზრით ხელოვნებაშიც, ისე როგორც ფილოსოფიაში დუალიზმის პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ, იგი უკიდურესობაში არასოდეს არ უნდა ვარდებოდეს, ერთსა და იმავე დროს „სულიერიც“ უნდა იყოს და „ხორციელიც“, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ უნდა „ხორცშესხმული სული“ იყოს.

აქაც მართალია ბ-ნი არჩ. ჯორჯაძე, როცა ამბობს: „მეტაფიზიკურ და სულიერ განწყობილების დასახვისათვის სრულიადაც არ არის საჭირო „ნახაზის“ დამახინჯება და ყოფა-ცხოვრებასთან*) კავშირის გაწყვეტა. პირიქით ძალა ხელოვნებისა მოულოდნელათ ძლიერ კონტრასტებშია, თუ გიპყრობთ ძალა ირაციონალურისა, რაციონალური საფუძველი, რომელზედაც დგეხართ, მეტათ გამოაჩენს თქვენს სულიერ განწყობილებას. თუ სულის მეუფეობისაკენ მიისწრაფვის თქვენი გული, გვაჩვენეთ სორცი, რომელმაც შეგაძულათ „სოფელი“ და სხვ.“ ე, ი. მოკლეთ რომ ვთქვათ—„საიმქვეყნოს“ ყოველთვის „საამქვეყნოს“ უვარგისობა ედება საფუძვლათ.

აი, ნამდვილი, სწორი კავშირი რეალურათ არსებულ კონკრეტულ საგანთა და მეტაფიზიკურ, ირაციონალურ სულიერ განწყობილებას შორის.

აი, ჩვენი შეხედულება ხელოვნებაზე, რომელიც სრულიად არ ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც წამოაყენა სახ. გაზ. ფურცლებზე ბ-ნმა არჩ. ჯორჯაძემ.

მაგრამ მოუაროთ ამ მხრით ჩვენი ახალგაზდა მგოსნების შემოქმედებას და დავინახავთ, რომ ის საყვედური, რომლითაც ბ-ნმა არჩ. ჯორჯაძემ მიმართა კრიტიკებსა და ლექტორებს, საფუძველს მოკლებულია.

ჩვენ ის კი არ გვაშინებს, ის კი არ მიგვაჩნია სავალალოთ და სამწუხაროთ, რომ სალირიკო პოეზია გაიფურჩქნა საქართველოში, რომ ლირიკები გამრავლდენ, რომ თვით სალირიკო პოეზიაშიც ელეგიას უპირავს უმთავრესი ადგილი, წინააღმდეგ-ლირიზმის უმრავლესი მხარე; საუკეთესო მსოფლიო ნაწარმოებსაც ხშირათ აზის ლირიზმის ბეჭედი და ეს იმდენათ უფრო თვალსაჩინო ხდება, რამდენათაც ნაწარმოები სუბიექტურია; ავიღოთ მაგალითად ბაირონის დიდებული ნაწარმოები „ჩაილდ ჰაროლდი“, თვით რეალისტი გოგოლის „მკვდარი სულები“, აიღეთ უკვდავი ბარათაშვილის ლექსები; განა თითოეულ ამ ნაწარმოებში პოეტის საკუთარი სულიერი განწყობილება ნათლათ არ გამოსჭვივის? რამდენ ავტობიოგრაფიულ მხარეს დაინახავთ თითოეულ ამ ნაწარმოებში, რამდენ ლირიკულ განშორებას აქვს ადგილი თითოეულ ამ ნაწარმოებში, მაგრამ არავის არ მოსდიოდა აზრათ, რომ ამგვარი ხასიათის შემოქმედება უარყოფით მოვლენათ ჩაეთვალა. სალირიკო პოეზიის გაფურჩქნა, ჩვენი ლიტერატურის უმთავრეს დარგის აყვავებას მოასწავებს, რომელსაც ჩვენ დიდის აღტაცებით მივეგებებით, მაგრამ ჩვენში ამნაირი გამეფებული ლირიზმი სულ სხვაგვარი ხასიათისაა.

აკაკი პაპავა.

---

*) ხაზი ყველგან ჩვენია. ა. პ.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან; [illegible] გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე [illegible] ნივთი-ვერცხლნარევი ძ ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და ყოველგვარი [illegible]ლება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

სავაჭრო სახლი ზ. გოკიელის შვ-ები სავაჭრო სახლი

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით ფასები დაუკლო. ეს ფასები, რომელიც ხელმისაწვდომია და იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.

წერილები რედაქციის მიმართ.

1

ბ. რედაკტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ ჩვენს წერილს.

დიდ ჯიხაიშელმა კორესპონდენტმა ბ. **ჯათუმ**, თავის წერილით („დილა“ № 16), სწორეთ თვალსაჩინო ნიმუში მოგვცა იმისი თუ როგორ უნდა სწერდეს კორესპოდენტი. ეტყობა ამ წერილში იგი სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობს, სიმართლეს გვერდს უხვევს, და ფაქტებს სხვანაირათ აშუქებს. ამავიც, რა თქმა უნდა სულ სხვანაირი გამოდის. ამიტომ, ნება გვიბოძეთ, მისი წერილი შევამოწმოთ და ამით სიმართლე აღვადგინოთ.

„22 აგვისტოს კრებამ, როგორც ვიცით-- სწერს ბ. **ჯათუ**- დიდ კამათს შემდეგ ძველი გამგეობა (იგულისხმება **დიდი-ჯიხაიშის** უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოსი) თავის ბიბლიოტეკრითურთ, როგორც უმოქმედო გადააყენა და ახალი აირჩია“. აქ ცოტა სიმართლის ღალატია. ამ კრებას მთელი გამგეობა, როგორც უმოქმედო, როდი გადაუყენებია, ერთი გამგეობის წევრი მასწ. **ილია ქუთათელაძე**, ენერგიული შრომისათვის უფრო საპატიო თანამდებობაზე, სამკითხველოს გამგეთ აირჩია. **რატომ** ამას არ ამბობს ბ. **ჯათუ**?! — „ამით უკმაყოფილო დარჩა ძველი გამგეობა, თავი შეურაცხყოფილათ გამოაცხადა და ახალ გამგეობას და ბიბლიოტეკარს ანგარიშები არ ჩააბარა“. აქაც სიმართლის ღალატია, გამგეობის ორი წევრი, რამდენათაც ჩვენ ვიცით და როგორც ეს ბ. **ჯათუსაც** კარგათ მოეხსენება, არაფერ უკმაყოფილებასაც არ აცხადებდა მათი გამოცვლისა გამო, მესამე ხომ გამგეთ იქნა არჩეული, მაშ ძველი გამგეობა შეურაცხყოფილი როგორღა დარჩა? ანგარიშების ჩაუბარებლობის მიზეზი თუ რა იყო კარგათ იცის ბ. **ჯათუმ**, მაგრამ თუ ის სიმართლეს ფარავს და „თვალს უშვრება **პეტრესა**“ ეს მისი კორესპოდენტური სინიდისის საქმეა და ჩვენ აღარ შევედავებით. „10 დღეს შემდეგ მან შეკრიბა მესამე კრება და სხვა. **ბ. ჯათუმ** კარგათ იცის ისიც, რომ მესამე კრება ძველმა გამგეობამ კი არ შეკრიბა, არამედ ახალმა, დროებითმა გამგემ, რამდენიმე წევრის დავალებით, და მესამე კი არ იყო იგი, არამედ არაჩვეულებრივი, ეს გარკვევით და ხაზგასმით იყო აღნიშნული იმ მოსაწვევ ბარათში, რომელიც სამკითხველოს წევრებს დაურიგდათ და რომელიც ერთმა, იქნება, ბ. **ჯათუსთან** ძლიერ დაახლოვებულმა პირმაც, არ მიიღო და ტალახში გადაისროლა, „ამ კრებამ, განაგრძობს ბ. **ჯათუ**, თავის თავი გამოაცხადა კანონიერათ (და ძლიერ სამართლიანადაც, ვიტყვით ჩვენ, რადგან აქ 47 ნამდვილი წევრი იყო) და მეორე კრება აღიარა უკანონოთ (აგრეც უნდა მომხდარიყო, რადგან მას 27 ვითომდა წევრი დაესწრო). ამას შემდეგ მოახდინეს არჩევანი და ბიბლიოტეკრათ აირჩიეს ისევ მეორე კრების მიერ დაწუნებული კანდიდატი და ამით მიაღწიეს თავიანთ საწადელს“. **რამდენათაც** ვიცით, არც ბ. **ჯათუ** და არც ის მისი ახლობელი, რომელმაც წერილი არ მიიღო, კრებას არ დასწრებია, თორემ რომ დასწრებოდა დაინახავდა, რომ ამ კრებამ არჩევნებს გარდა სხვაც ბევრი რამ გააკეთა და მიხვდებოდა თუ რა იყო მაშინდელი უმეტესობისთვის საწადელი და სასურველი. ამ კრებას მართლა სერიოზული საქმიანობა სურდა და მიტომაც წავიდა მეორე კრების ზოგიერთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც სწორეთ „გოჯილობია“ ითამაშა, სამკითხველოს წესდებაში არ ჩახედა და ისე მოახდინა არჩევანი. **წესდება** კი გარკვევით ამბობს: „სამკითხველოს გამგეს ირჩევენ დაფარულის კენჭის ყრითაო“, „გოჯილობიას“ მოთამაშე მეორე კრებას კი ეს არ მოუსურვებია და წესდება დაარღვია. **წესდება** დაარღვია აგრეთვე იმითაც რომ, როცა ყოფილ გამგეს სამკითხველოსას, ქ-ნ **მ. ალ. ლორთქიფანიძისას** თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არავითარი განცხადება არ შემოუტანია, კრებას უფლება არ ქონდა მისი გამოცვლისა და სხვა პირის არჩევისა. **მართალია**, შეიძლება გამგე უგანცხადებოთაც გამოიცვალოს, ეს იმ შემთხვევაში თუ მას რაიმე ბოროტმოქმედებას დაუმტკიცებენ, მაგრამ ამ დროსაც წევრთა $^2/_3$ უნდა დაესწროს კრებას. აქ კი არც ერთი ეს არ იყო. **მაშ** რატომ არ დაფიქრდა მეორე კრება? **უკანასკნელმა** კრებამ ხმის უმეტესობით გამგის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ბ. **ილია ქუთათელაძე** (და ეს იყო უმთავრესათ კრების მოწვევის მიზანიც), და დასტოვა ისევ ძველი გამგე ქ-ნი **მ. ლორთქიფანიძისა**, წესდება დაარღვია მეორე კრებამ ბიბლიოტეკარის გადაყენების და არჩევის შესახებაც, იქ ნათქვამია: „ბიბლიოტეკარს ირჩევს გამგეობა და ამტკიცებს საზოგადო კრებაო“. **ის** ერთად-ერთი ჯამაგირიანი პირია სამკითხველოში. **ვადა** მისი სამსახურისა წესდებით განსაზღვრული არ არის. **იგულისხმება**, რომ თუ პატიოსნათ და კარგათ იმუშავებს შერიგებით შემდეგაც შეუძლია სამსახურში დარჩენა, — მეორე კრებისმიერ გადაყენებული და უკანასკნელ კრების მიერ ისევ სამსახურში დატოვებული ბიბლიოტეკარი ქ-ნი **ვ. ი. ჩხეიძისა**, ნამდვილ ამ თვისებებით იყო შემკული, და რათ უნდა გაელანძღათ და დაეჩაგრათ ტყუილ უბრალოთ მშრომელი ადამიანი? **ნუ** თუ მარტო იმიტომ, რომ ორიოდე პირად მის „კეთილისმყოფელს“ მისი იქ არ ყოფნა სურდა და სხვები კონსტატურათ დაგებულ ანკესს წამოეგენ? **უკანასკნელმა** კრებამ ყოველივე მისი ღვაწლი მოიხსენია, უჩვენა, რასაკვირელია, ნაკლულევანებანიც, მადლობა უთხრა სამი წლის ერთგული სამსახურისათვის და დასტოვა ისევ სამკითხველოში. **ასეთი** იყო ის „გოჯილობიას“ თამაშობა, რომელსაც „სერიოზულათ მოსაქმე და მოაზრე“ ბ. **ჯათუ** სწამებს ამ კრებას. **ამავე** კრებამ მადლობა გამოუცხადა ბ. **ილ. ქუთათელაძეს** ოთხი წლის ენერგიული და უანგარო მუშაობისთვის და გაანთავისუფლა ის სამკითხველოში ყოველივე თანამდებობისგან. **ჩვენ** გვეგონა და გვგონია ახლაც რომ ინტელიგენციის მოვალეობა სწორეთ სიმართლის თქმა და სამსახურია და არა პირადული შენ-ჩემობა და ბუტიაობა და მიტომაც უკანასკნელი კრების უმეტესობა დაადგა ამ გზას მაგრამ ამ კრებით, ჩვენდა გამოურკვეველი მიზეზისა გამო, შეურაცყოფილი დარჩა ბ. **ჯათუ** და ძმანი მისნი, რომელთაც არა ერთი და ორი დეპეში გაგზავნეს **ჭიათურაში** ერთი პირის გამოსაწოდებლათ, რომ მას მათთვის მხარი გაემაგრებია, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, შეურაცყოფილი დარჩა ზოგი სხვა პირებიც, ზოგმა იმათგანმა დემონსტრატიულათ მიატოვა კრება და წავიდა; მათ მეზობლური ხათრით უკან გამოუდგა პოლიციის წარმომადგენელიც და კრება აგვერია, მაგრამ მერე ისევ დაბრუნდა და კრებაც წესიერათ დათავდა...

ზოგი ამ კრების მოწინააღმდეგე იმ ზომამდი მივიდა, რომ გაცხარების დროს მუქარიც კი შამოგვითვალა, თუ უსათუოთ ჩვენი არ გავიდა ხვალვე ვიჩივლებთო.

ჩვენ ეს ჩვეულებრივი ფასი და ხუმრობა გვეგონა, მაგრამ მწარე სინამდვილემ სამწუხაროთ წინააღმდეგში დაგვარწმუნა. **ვიღაცას** ეტყობა ვერ მოუთმენია და სახალხო შკოლების დირექტორისთვის სიტყვა მიუტანია, რითაც ჩაუსმენია მასწ. **ილ. ქუთათელაძე**. **ამას** გვიმტკიცებს ბ. დირექტორის მიერ შკოლის სახელზე გამოგზავნილი ქაღალდი, სადაც სწერია: „გამოუცხადე, სწერს ის შკოლის ზედამხედველს, მასწავლებელ **ილ. ქუთათელაძეს**, რომ თუ ის თავს არ დაანებებს შკოლის გარეშე საქმეებში ჩარევას, რაც მის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს და თუ არ შეწყდა ხმები (неблагопріятные отзывы), მის არა საიმედო და გარეშე მოქმედებაზე, იძულებული ვიქნები მის ნაცვლად გამოვგზავნო ისეთი პირი, ვინც მარტოოდენ შკოლის საქმეებზე იზრუნვებსო“. **აქიდგან** ცხადათ სჩანს, რომ ბ. დირექტორთან ვიღაცამ ჩაასმინა ისეთი კაცი, რომელიც ერთი საუკეთესო მასწავლებელია აქაური შკოლისა და ასეთივე წევრი სამკითხველოსი.

ჩვენ სრულებითაც არ გვიკვირს, როდესაც ზოგიერთი კაცუნები, ასეთ არა საკადრისს და დასაგმობ საშვალებას მიმართვენ ხოლმე, მათ დაბეზღება --„დანოსების მეტი არაფერი მოეთხოვებათ, რადგან მათი კუდ მოკლე სინიდისი აქ ვერაფერ სასირცხვოს ვერ ხედავს.

აი ასეთი იყო ბ. **ჯათუს** მიერ ათვალწუნებული კრება და ასეთი არასასურველი და სამარცხვინო შედეგი მოყვა ზოგიართების მოქმედებას.

აქიმი ექსევე გ. ლოსაბერიძე. ფერშალი მოსე გოგსაძე, სტუდენტი სოლომონ ლორთქიფანიძე, აკაკი ს. ჩხეიძე თ-დი ალექსანდრე ჩხეიძე მალიკო ჩხეიძე.

2.

ბ-ნო რედაკტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით ნება მომცეთ მადლობა გამოვუცხადო **ნოვოროსიის** ქართული არტელის მუშებს, რომელთაც მხურვალე თანაგრძნობა გამოიჩინეს და პატრონობას უწევენ მათი ყოფილი ამხანაგის, **ნიკო ჟაჭიაშვილის** უპატრონოთ დარჩენილ 4 ობოლს და ქვრივს. **ნოვოროსიიდან** გამოსვენების დროს ჩემს უდროვოთ დაკარგულს მეუღლეს, დიდი პატივი სცეს და გამოსვენების ყოველი ხარჯიც მათ იკისრეს. **ეს** მესამე წელიწადია არ მაკლებენ მატერიალურ დახმრებას, და მპირდებიან, სანამ ქართული არტელი იარსებებს, არა მომაკლონ მზრუნველობა. **ასეთი** სასიქადულო მოქმედებით **ნოვოროსიის** ქართულთ არტელის მუშებმა იმედი მომცეს, გამამხნევეს, რომ ჩემს ობლებს შეძლების დაგვარათ დედობა გავუწიო და ქვრივ-ოხრობით კარზე მომდგარი ათას გვარი გაჭირვება მხნეთ გადავიტანო.

სიხარულიძის ასული ჟაჭიაშვილის
ქვრივი--**მართა**.

რედაკტორ-გამომცემელი
ბ. ჭელიძე.

ლანჩხუთის წიგნისა და კანცელარიის მაღაზია

აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო --სასწავლო ნივთები: **რვეულები**, **დლიური**, საუკეთესო **კალმები**, **მელანი ქაღალდი** და სხვ. ამასთანავე აქვე იყიდება ყოველხაირი ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.

პატივისცემით **ვ. კალანდაძე**.

დ. აბაშაში გაზ. „იმერეთი“ იყიდება მომხმარებელი საზოგადოების მაღაზიაში.

ძმ. ე და პ. საკაშვილები
ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების; მოწყობილობა, ლურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვა., სახელოსნო ხელსაწყოები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნექი, „ეშტი“, სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობა ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია.

ზ. მორდაძის და ს. წერეთლის
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი,
მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

ШАМПАНСКОЕ
Царица Тамара
Ф. ЧЕЛИДЗЕ КУТАИСЪ

ფილიპე ნ. ჭელიძის
შამპანური
„თამარ მეფე“ და
„კოლხიდა“ სმკურნალო და სუფრის ღვინოები.

ოქროს მედალი

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და 5 ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მინისთვის მოწყობილ სარდაფში **მღვინე სპეციალისტის მეთვალყურეობით.**

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა
ქუთაისში, მიტანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოდ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე **ნ. ჭელიძე.** მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 48.

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთ ნ.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები,
ველოსიპედები, საქსოვი და საკერავი
მანქანები, გიტარები და მათი მოწყობილობა. ქილვე შეიძლება როგორც ნაღდზე, აგრეთვე ნისიათ, (თვიური შემოტანით).
Адресъ: Кутаисъ, А. Р. Табагари.

ჰყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

ქ. ქუთაისი, სტამბა, „ძმობა“, ჭაზაკოვის შესახვევი, სახლი № 17